# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 186

„ 9 ” ივნისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისთვის უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 27 მაისის №21.08.617 განკარგულებით გათვალისწინებული, ქვემოთ აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისთვის (ს/კ №203860642) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე:

ა) ქ. თბილისში, დიდ ლილოში მდებარე 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.08.07.395),

ბ) ქ.თბილისში, დიდ ლილოში მდებარე 721 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.08.07.398),

გ) ქ.თბილისში, დიდ ლილოში მდებარე 1339 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.08.07.399).

2. უსასყიდლო აღნაგობის მოქმედების პერიოდი განისაღვროს აღნიშნული იურიდიული პირის არსებობის ვადით, არა უმეტეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადისა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი